

ი. გუჯაბიძე, ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფ.
თ. ბარაბაძე, ტექნ. მეცნ. კანდ., პროფ.
ლ. გუდავაძე, ტექნ. მეცნ. კანდ., პროფ.
შ. გუჯაბიძე, ეკონომიკის მაგისტრი
ნ. ჭკადუა, დოქტორანტი

გაზის დარგის განვითარების ტენდენციები, რეგულაციები და ფინანსური ინსტრუმენტები თანამედროვე ევროპაში

რეზიუმე: განხილულია ევროპის ქვეყნებში გაზის სექტორის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და ენერგოუსაფრთხოების პრობლემები. მათი მოგვარების მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ბაზა, რეგულაციები და ფინანსური ინსტრუმენტები. ნაჩვენებია შესაძლებლობები ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში საქართველოს უფრო აქტიური ჩართულობისათვის.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, გაზი, ნავთობი, კონდენსატი, გაზომომარაგება, ევროპა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, მოპოვება, ექსპორტი, იმპორტი, დივერსიფიკაცია, რეგულაციები, ფონდები, პროგრამები, რეორგანიზაცია.

შესავალი


კასპიის ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის და, განსაკუთრებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებაში.

საქართველოსათვის, როგორც გაზის სამხრეთი დერეფნის მონაწილე ქვეყნისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია ევროპაში ამ მიმართულებით დღეს არსებული ტენდენციები და გამოწვევები.

ძირითადი ნაწილი

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის (USGS) მონაცემებით, 2013 წელს მთელ მსოფლიოში დაწყებული ნავთობისა და კონდენსატის შემცირების ტენდენცია 2050 წლამდე გაგრძელდება (სურ.1). 2040 წლისათვის გაზზე მოთხოვნა 5,4 ტრლნ მ³-ს მიაღწევს. ყოველწლიური მატების ტემპი 1,4% იქნება. გაზი ძირითადი ენერგეტიკული ნედლეული გახდება.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE



სურ. 1. აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის (USGS) ნავთობის, კონდენსატისა და გაზის ევოლუციის სცენარი მსოფლიოში (პროგნოზი მოცემულია ეკვივალენტური ნავთობის გეგატონებში - Гтн)


დღეს ბუნებრივ გაზს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ევროპის ენერგეტიკულ ბალანსში. ევროპაში (თურქეთის ჩათვლით) გაზის წლიური მოხმარება ბოლო ათწელიწადში საშუალოდ 580 მლრდ მ³ შეადგენდა (სურ.2) (2018 წელს მოხმარების შემცირება ეკონომიკური ზრდის შემცირებით აიხსნება). სურათიდან ჩანს, რომ ევროპის ქვეყნები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსულ გაზზე (ევროპაში გაზის ძირითადი მწარმოებლები ნორვეგია და დიდი ბრიტანეთია).

2019 წელს რუსული გაზის წილი კიდევ უფრო გაიზარდა და მთელი მოხმარების 49% შეადგინა მაშინ, როდესაც გაზის მეორე მსხვილი მომწოდებლის – ნორვეგიის წილი 1%-ით შემცირდა. პროგნოზით აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

რუსეთის გაზზე ენერგეტიკის ძლიერი დამოკიდებულება ფუნდამენტური გამოწვევაა ევროპის ქვეყნებისათვის. ეს დამოკიდებულება არათანაბარია ევროპის სხვადასხვა რეგიონისათვის. მე-3 სურ-ზე ნაჩვენებია ევროპის რეგიონებად დაყოფის პირობითი სქემა, ხოლო მე-4 სურ-ზე – გაზის დარგის მაჩვენებლები ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის [1].

ამ რეგიონში პირობითად განვიხილავთ ალბანეთს, ბულგარეთს, ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, უნგრეთს, საბერძნეთს, მაკედონიას, პოლონეთს, რუმინეთს, სერბეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, თურქეთს, ხორვატიას, ჩერნოგორიას და ჩეხეთს.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE




სურ. 2. ევროპის ქვეყნების მიერ მოხმარებული გაზი და რუსეთის როლი მათი გაზით მომარაგებაში



სურ. 3. ევროპის რეგიონები

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE



სურ. 4. გაზის დარგის მაჩვენებლები ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის


ამ მონაცემებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძალზე სუსტადაა წარმოდგენილი გაზის დარგი. მცირე ადგილობრივი გაზის წარმოება და დიდია მისი მოხმარება, რის გამოც ისინი ძირითადად დამოკიდებულია გაზის იმპორტზე (ნაჩვენები ექსპორტი მთლიანადაა განპირობებული მათი ტერიტორიების გავლით არსებული გაზის ტრანზიტით მეზობელ ქვეყნებში).

აღსანიშნავია, რომ გაზის ექსპორტი ამ ქვეყნებში რუსეთიდან ხორციელდება. თუ ევროპის ქვეყნებში რუსული გაზის წილი ათწლიან პერიოდში (2010-2017წწ.) ძირითადად 27–37%-ს შეადგენდა (საშუალოდ 32%), ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში ის 50%-ს აჭარბებს (სურ.5).

პერსპექტივაში მოსალოდნელია რეგიონში გაზის მოხმარებისა და იმპორტის ზრდა, პირველ რიგში იმის გამო, რომ პოლონეთისა და ჩეხეთის ეკონომიკა, ეკოლოგიური მოთხოვნების გამკაცრების გამო, ინტენსიურად ანაცვლებს ქვანახშირის გაზით. მეორე მხრივ, რეგიონის ქვეყნების მზარდი ეკონომიკა (2–3% წელიწადში MBΦ) სიმძლავრის გაზრდას განაპირობებს.


სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმით გაზზე მოთხოვნების ზრდა განპირობებული იქნება სათბობენერგეტიკული და ელექტროენერგეტიკული სექტორების მოთხოვნებითაც. ამ ფაქტორების გავლენით 2017-2030 წლებში მოსალოდნელია [2]: ჩეხეთში – 7%, უნგრეთში – 10%, ბულგარეთში – 9%, სერბეთში – 25%, სლოვაკეთში – 15%, თურქეთში – 14%-ით მოხმარების გაზრდა. მე-6 სურ-ზე ნაჩვენებია ბუნებრივი გაზის მოხმარების პროგნოზი წლების მიხედვით.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE



სურ. 5. რუსეთიდან იმპორტის წილი ევროპის ქვეყნების მიერ მოხმარებული გაზის მოცულობაში (წყარო-Eurogas)

კვლევები გვიჩვენებს [3], რომ 2030 წლისათვის ბუნებრივი გაზის წლიური მოხმარება თურქეთში 53,6 მლრდ მ³-დან (2017 წ.) 60–62 მლრდ მ³-მდე გაიზრდება.



სურ. 1.6. ბუნებრივი გაზის მოხმარების პროგნოზი წლების მიხედვით

გაზის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებული იქნება ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორითაც. რეგიონის ქვეყნები სერიოზულ სატრანზიტო ფუნქციასაც ასრულებს. ისინი განლაგებულია გაზის უმსხვილეს მომპოვებელ ქვეყნებსა (რუსეთი,

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

შუა აზია) და მომხმარებლებს (დასავლეთ ევროპა) შორის. სამომავლო პროგნოზით, რუსეთის გაზის მოცულობა შემცირდება; კავკასიიდან, შუა აზიიდან და ახლო აღმოსავლეთიდან კი – გაიზრდება [4]. ცხადია, ბუნებრივი გაზის მოხმარების ზრდა კიდევ უფრო გაამწვავებს დღეს არსებულ პრობლემებს.

ევროპის (მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის) ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ეს უკანასკნელი ძირითადად სამი გზით მიიღწევა:

- გაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით;
- ბუნებრივი გაზის სახეების, წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციით;
- მარაგების შექმნა დიდი მოცულობის მიწისქვეშა გაზსაცავების მშენებლობით.

აღნიშნულის განხორციელება მძლავრ საკანონმდებლო ბაზას და ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გაზის ევროპულ ბაზარზე. მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა [5,6] აუცილებელი გახადა გაზის სექტორის რეორგანიზაცია, მათ შორის გაზით ვაჭრობისგან ტრანსპორტირებისა და განაწილების გამიჯვნა. ევროკავშირში გაზის სექტორის მარეგულირებელი დირექტივები აისახა „ენერგეტიკულ კანონში“ (10.04.1997წ.) და მომდევნო საკანონმდებლო აქტებში. თუმცა, ევროპაში გაზის ბაზრის ცვლილების პროცესზე ყველაზე წონადი გავლენა 2009 წ. ევროპარლამენტის მიერ მიღებულმა მესამე ენერგეტიკულმა პაკეტმა მოახდინა. ის შემდეგი დოკუმენტებისაგან შედგებოდა:

1. Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 2003/54/EC (ელექტროენერგეტიკული დირექტივა);
2. Directive 2009/73/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in natural gas and repealing Directive 2003/55/EC (გაზის დარგის დირექტივა);
3. Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the network for cross-border exchanges in electricity and repealing Regulation (EC) No 1228/2003 (ელექტროენერგეტიკული დოკუმენტი);
4. Regulation (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the natural gas transmission networks and repealing Regulation (EC) No 1775/2005 (გაზის ბაზრის მარეგულირებელი დოკუმენტი);
5. Regulation (EC) No 713/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 establishing an Agency for the Cooperation of Energy Regulators (მარეგულირებელი სააგენტო).

აღნიშნული პაკეტის საფუძველზე ევროპარლამენტი ევროკავშირის მონაწილე

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

ქვეყნებისაგან გაზისა და ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურების ოპერატორების იურიდიული, ორგანიზაციული და მმართველობითი საქმიანობის დამოუკიდებლობის პრინციპის შემოღებას ითხოვს. ასეთი მიდგომა ე.წ. „Unbundling“ ბაზარზე ყველა მომხმარებლის გარანტირებულ თანაბარ წვდომას უზრუნველყოფს. ევროკავშირში ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის მესამე ეტაპის ძირითადი ამოცანებია:

- გაზის მოპოვებისა და ბრუნვის გამიჯვნა მისი ტრანსპორტირებისაგან;
- მარეგულირებელი უფლებამოსილებების გაზრდა;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- დაუცველი მომხმარებლების დაცვა.

დირექტივა 98/30/ EC უზრუნველყოფს გაზსაცავებთან, როგორც ბუნებრივი გაზის ქსელის ნაწილთან, შეუფერხებელ წვდომას.

ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის დირექტივა (1968 წ., 1972 წლის შესწორებებით) კრიზისული სიტუაციების მართვის შესახებ. მასში მოცემულია ნავთობპროდუქტების იმპორტზე, ევროპის თანამეგობრობის დიდი დამოკიდებულების გამო, შესაძლო შედეგების შერბილებისა და ბაზრის ტრანსპარანტული ფუნქციონირების ინსტრუმენტები, უზრუნველყოფილია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აუცილებელი მარაგების შექმნის იურიდიული ბაზა. კერძოდ, წევრი ქვეყანა ვალდებულია მუდმივად იქონიოს მარაგები, როგორც მინიმუმ გასული კალენდარული წლის 90-დღიანი საშუალო ყოველდღიური მოხმარებისა. ქვეყანაში შიგა წარმოების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მარაგის შემცირება, მაგრამ არანაკლებ 15%.

კონკრეტულად ბუნებრივ აირთან დაკავშირებით ევროკავშირში 2014 წლის 3 დეკემბრიდან მოქმედებს წესი N-1. ამ წესის თანახმად, მხოლოდ ერთ გაზსადენზე ან მხოლოდ ერთ მიწისქვეშა გაზსაცავზე დამოკიდებული კავშირის წევრი (ასოცირებული წევრი) ქვეყანა სრულად უნდა იკმაყოფილებდეს გაზზე მოთხოვნას, ექსტრემალურად ცივ დღეებში, მოწოდების სრული შეწყვეტის პირობებშიც კი [7]. კრიზისული სიტუაციების მართვის მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროკავშირის დირექტივა ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანაში მარაგის შექმნის შესაძლებლობის შესახებ. ასე, მაგ., 2003 წელს მიღებული ბაზრის ლიბერალიზაციის ღონისძიებები უზრუნველყოფდა მესამე მხარის არადისკრიმინაციულ წვდომას (Third Party Access (TPA)) გაზსაცავებზე.

მესამე ენერგეტიკული დირექტივა გაზის შესახებ უზრუნველყოფს გაზსაცავის მოწყობას ყველგან, წევრი და ასოცირებული წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც საბაზრო ურთიერთობები ამის საშუალებას იძლევა. მასში ნათქვამია, რომ ასეთი რეჟიმი საუკეთესოა ინვესტიციების მოზიდვისა და ბაზრის განვითარებისათვის.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

მნიშვნელოვანია აგრეთვე ევროკავშირის სპეციალური კვლევებისა და ტექნოლოგიების შემუშავების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ევროკავშირის პროგრამა THERMIE.

ნახშირწყალბადების ტექნოლოგიის პროგრამის მიზნები იყო ტექნოლოგიების განვითარების გაღრმავება ევროკავშირისთვის ნავთობისა და გაზის მიწოდების უსაფრთხოების გასაძლიერებლად. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე ევროკავშირის მხარდაჭერა ფარავს პროექტის საერთო დანახარჯების 40%-ს. განსახილველად მიღებული პროექტები უნდა შევიდეს კონსორციუმებისაგან, რომელთა შემადგენლობის არანაკლებ ორი მონაწილე უნდა იყოს იურიდიული პირი ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან ან ერთი უნდა იყოს ევროკავშირის წევრი, მეორე კი – ასოცირებული. პროექტები შეიძლება განხორციელდეს როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე მის გარეთაც.

დღეს წარმატებით ფუნქციონირებს მსხვილბიუჯეტის ევროპული ფონდები და პროგრამები, რომელთა საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი რისკების შემცირება და მდგრადი განვითარების მხარდაჭერაა.

ასეთი ფონდებია: ეკონომიკური გაძლიერებისა და სოციალური დისბალანსის გამოსწორების მიზნით მოქმედი რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდი (ERDF), მისი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ბიუჯეტი 371 მლრდ ევროა; ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ტერიტორიული თანამშრომლობის ფონდი (EaPTC) (15,4 მლრდ ევრო), რომლის მიზანია ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებთან საერთო ინტერესების დამკვიდრება და საერთო პრობლემების გადაწყვეტა; ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ნახშირწყალბადების შენახვის ხელშემწყობი ევროპის ენერგეტიკული რეაბილიტაციის პროგრამა (EEPR) (5,85 მლრდ ევრო); მაგისტრალური ქსელების, თხევადი გაზის ტერმინალებისა და გაზსაცავების პროექტების ხელშემწყობი ევროპის ჩართულობის ფონდი (CEF) (33 მლრდ ევრო); ენერგეტიკული პროექტების (მათ შორის ენერგიის დაგროვებისა და ქსელების) კვლევების დამფინანსებელი პროგრამა „ჰორიზონტი“ (5,9 მლრდ. ევრო); ნახშირწყალბადების შენახვისა და მართვის ხელშემწყობი პროგრამა (CCS) (2,86 მლრდ ევრო); ევროპის ქვეყნების შეკავშირებისა და ეკონომიკური უთანაბრობის შემცირებისაკენ მიმართული ფონდი (CF) (63,4 მლრდ ევრო); ევროპის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების ერთმანეთთან დაკავშირების ხელშემწყობი ფონდი (CEF) (30,6 მლრდ ევრო) და სხვა. ამ ორგანიზაციათა საქმიანობა ასტიმულირებს და ხელს უწყობს კერძო ინვესტიციების მოზიდვას ევროპის ენერგოუსაფრთხოების პროექტებში.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის (AA), ორმხრივი თანამშრომლობის ახალი ჩარჩოს შესაქმნელად.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

ეს ჩარჩო მნიშვნელოვანი მექანიზმია საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისთვის. უფრო კონკრეტულად იგი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის 300 სამართლებრივ აქტთან.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში (ნაწილი VI). ის მოიცავს: საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რათა მოხდეს ენერგორესურსების, მიმწოდებლებისა და ტრანსპორტირების მარშრუტების დივერსიფიცირება ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მისაღები ფორმით; ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას; ევროკავშირის ენერგორესურსებთან შესაბამისობას; თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი და ნავთობის ძებნა, წარმოება და ტრანსპორტირება; განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა. ხელშეკრულება ასევე შესაძლებლობას იძლევა, რომ საქართველო გაწევრიანდეს ევროპულ ენერგეტიკულ საზოგადოებაში.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ენერგეტიკულად და კონკრეტულად ბუნებრივი გაზის ნაწილში თანამშრომლობის დებულებები მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიგა ბაზრის საერთო წესების შესახებ;
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია EC 7715/2009 ბუნებრივი გაზის გადაცემის ქსელებზე წვდომის შესახებ;
- 2008 ევროპული საპარლამენტო საბჭოს 2008 წლის 22 ოქტომბრის 2008/92/EC დირექტივა, რომელიც ეხება საზოგადოების პროცედურას ინდუსტრიული საბოლოო მომხმარებლებისთვის გაზის და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით;
- 2010 რეგულაცია (ევროკავშირი) 4 994/2010 ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 20 ოქტომბრის რეგულირება გაზმომარაგების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

კვლევები გვიჩვენებს, რომ ევროპის ქვეყნებში ბუნებრივი გაზის მოხმარების ტენდენცია მზარდია. ყოველწლიური მატების ტემპი 2040 წლამდე 1,4% იქნება. განსაკუთრებით დიდი იქნება მოხმარების ზრდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (7–25%). გაზი გახდება ძირითადი ენერგეტიკული ნედლეული.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დამოკიდებულია რუსულ გაზზე, ამიტომ მათი პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ამ მიზნით ევროკავშირში შეიქმნა გაზის სექტორის მარეგულირებელი დირექტივები და აისახა „ენერგეტიკულ კანონში“. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გაზის ევროპულ ბაზარზე. მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა აუცილებელი გახადა გაზის სექტორის რეორგანიზაცია, მათ შორის გაზით ვაჭრობისაგან მისი ტრანსპორტირებისა და განაწილების გამიჯვნა.

დღეს ევროპაში წარმატებით ფუნქციონირებს მსხვილბიუჯეტის ევროპული ფონდები და პროგრამები, რომელთა საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი რისკების შემცირება და მდგრადი განვითარების მხარდაჭერაა.

ევროკავშირში ენერგეტიკის სფეროს განვითარების ტენდენციები, არსებული საკანონმდებლო ბაზა, რეგულაციები და ფინანსური მექანიზმები კარგ შესაძლებლობას იძლევა საქართველოსათვის, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში უფრო აქტიური ჩართულობისათვის.

ლიტერატურა

- 1) MEA. Энергетический бюллетень Выпуск N68, январь 2019.
- 2) BP Energy Outlook, 2017.
- 3) The oxford institute for energy studios. A recognized independent of the University of Oxford. Turkey's gas demand decline: reasons and consequences. April 2017.
- 4) Энергетический бюллетень. январь 2019.
- 5) законодательства ЕС, директивы 2003/55/ЕС Европейского парламента и Совета от 26 июня 2003 года об установлении общих правил для внутреннего рынка природного газа и отмены директивы 98/30/ЕС.
- 6) Директивы 2009/73/ЕС Европейского Парламента и Совета от 13 июля 2009 года, относительно общих правил функционирования внутреннего рынка природного газа и отменяющая директиву 2003/55/ЕС.
- 7) Report on the implementation of Regulation (EU) 994/2010 and its contribution to solidarity and preparedness for gas disruptions in the EU. — Brussels, 16.10.2014 SWD (2014) 325 final.